შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია”-ს ოფისისა და ძეგვის ნავთობბაზის დაცვის მომსახურების ტექნიკური დავალება

1. დაცვის მომსახურების დასახელება და ვადები

1.1. შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია»-ს ობიექტების დაცვა (ობიექტების ჩამონათვალი და პირობები მოცემულია დანართ #1-ში).

1.2. მომსახურების გაწევის ვადები: 00 საათი.00 წთ. 01.03.2021 წელი. 00 ს. 00 წთ. 28.02.2023 წელი

2. დაცვის მომსახურების გამოყენების მიზანი

2.1. ობიექტების კომპლექსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შიდა ობიექტებზე დაშვების კონტროლის უზრუნველყოფა, თანამშრომლებისა და ვიზიტორების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, დაცვის ობიექტების ტერიტორიაზე არსებული ქონებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა, დანაშაულებრივი და სხვა უკანონო ქმედებების აღკვეთა.

3. დაცვის მომსახურებისთვის ძირითადი მოთხოვნები

3.1. დაცვის ძირითადი მიზანი - შიდა ობიექტებზე დაშვების კონტროლის უზრუნველყოფა, თანამშრომლებისა და ვიზიტორების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, დაცვის ობიექტების ტერიტორიაზე არსებული ქონებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა, დანაშაულებრივი და სხვა უკანონო ქმედებების აღკვეთა დამკვეთის ობიექტებზე.

3.2. შემსრულებელს აღნიშნულისთვის იწვევს მომზადებულ თანამშრომლებს. შემსრულებლის თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენება (დაშვების სისტემის კონტროლი, ვიდეოთვალთვალი, დაცვის სახანძრო სიგნალიზაცია, გამაფრთილებელი სისტემები, განგაშის ღილაკი).

3.3. შემსრულებელს უნდა ჰყავდეს თანამშრომლების საჭირო რაოდენობა 50 წლამდე, რომლებსაც გავლილი აქვთ მოსამზადებელი კურსები და უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცვლა დამკვეთის მიერ მითითებულ ობიექტებზე მომსახურების გასაწევად.

3.4. შემსრულებლის თანამშრომლები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ დამკვეთს, უნდა იყვნენ აღჭურვილნი სპეციალური საშუალებების კომპლექტითა და შეიარაღებით.

3.5. შემსრულებელს უნდა ჰქონდეს ბალანსზე სამსახურეობრივი მსუბუქი ავტომანქანა (არანაკლებ 1 ერთეულისა), რომელიც იქნება აღჭურვილი უსაფრთხოების ღვედითა და უსაფრთოების ბალიშებით მძღოლისა და წინა სავარძელზე მყოფი მგზავრისთვის, დაცვის თანამშრომლების მუშაობის კონტროლის განსახორციელებლად, რომელიც ხორციელდება დამკვეთის ობიექტებზე დაცვის თანამშრომლების წინასწარი ცვლების გამოსაკვლევად, აგრეთვე სხვა პრობლემების დროული მოსაგვარებლად.

3.6. ყოველ დაცვის თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მოქმედი დაცვის ბარათი, რომელიც მიმაგრებული უნდა იყოს დამკვეთის ობიექტზე მომსახურების პროცესში ტანსაცმლის (ფორმის) თვალსაჩინო ადგილას.

3.7. დაცვის ყოველი თანამშრომელი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სეზონული ტანსაცმლით დაცვის სამსახურის მითითებით, უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და სხვა სანებართვო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მის უფლებამოსილებას განახორციელოს აღნიშნული მომსახურება.

3.8. შეიძინოს სპეციალური საშუალებები, მოწყობილობები და ნივთები, საავტომობილო ტექნიკა და კავშირის საშუალებები, მიიღოს ლიცენზია/ნებართვები და სხვა დოკუმენტები, რაც საჭიროა დაცვის განსახორციელებლად, ასევე ყველა აუცილებელ თანხმობა (საჭიროების შემთხვევაში) კონტრაქტორი ორგანიზაციისგან.

3.9. შემსრულებელი, რომელიც ახორციელებს ობიექტების დაცვას, დამოუკიდებლად აგებს პასუხს შრომითი კანონმდებლობის, ასევე სამრეწველო და სახანძრო, შრომითი უსაფრთოების კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით, მათ შორის ჯარიმების, პირგასამტეხლოების და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ჩათვლით.

3.10. შემსრულებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთთან შეათანხმოს დაცვის თანამშრომლის კანდიდატები, რომლებიც უნდა განაწილდნენ დამკვეთის ობიექტებზე.

3.11. შემსრულებლის ხელმძღვანელობამ უნდა შეამოწმოს დაცვის თანამშრომლის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ინტოქსიკაციის ფაქტები, სანამ თანამშრომელი პოსტს დაიკავებს. დასაცავი ობიექტის ხელმძღვანელობას უფლება აქვს დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობას მოსთხოვოს დაცვის თანამშრომლების სამედიცინო შემოწმების (გამოკვლევის) სტრუქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან შესაბასმისი ცნობის წარდგენის გზით.

3.12. დაცვის თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების ან სხვა ტოქსიკური ნივთიერების მიღების, ან მისი თან ჰქონის ყოველი ფაქტი უნდა დაფიქსირდეს აქტით, რომელსაც ხელს აწერს დამკვეთისა და შემსრულებლის ხელმოწერაზე უფლებამოსილების მქონე პირები.

3.13. შემსრულებელმა უნდა განახორციელეოს მუდმივი კოანტროლი დაცვის თანამშრომლის მიერ მომსახურების გაწევაზე.

3.14. დაცვის თაობაზე უნდა არსებობდეს შემსრულებლის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული და დამკვეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული თანამდებობრივი ინსტრუქცია, ნებართვის დოკუმენტების ასლები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ მომსახურების წესს, დაცვის თანამშრომელთა ქმედებებს გამოუვალი სიტუაციის დროს და სხვა საკითხებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს დაცვის თანამშრომელმა დაცვის მომსახურების გაწევის დროს.

3.15. ქონების, მატერიალური ფასეულობების და აღჭურვილობის დაცვა განუწყვეტლივ უნდა განხორციელდეს დაცვის მომსახურების მთელი შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

3.16. არ დაიშვება დაცვის თანამშრომლის პოსტზე ყოფნა 12 საათზე მეტი ხნით განმავლობაში ცვლის გარეშე. დაცვის საგუშაგო სრულდება საქართველოს მოქმედი შრომითი კანონმდებლობით დადგენილი გაანგარიშების შესაბამისად. დასაცავ ტერიტორიაზე დაცვის თანამშრომლის ცხოვრება აკრძალულია.

3.17. საგუშაგოების ადგილმდებარეობას განსაზღვრავენ დამკვეთისა და შემსრულებლის ხელმძღვანელები.

3.18. დაცვის ქვეშ არსებული ტერიტორიის საზღვრები (საპატრულო მარშრუტი - ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებულია გეგმაში - სქემაში, რომელიც დამტკიცებულია დამკვეთისა და შემსრულებლის ხელმძღვანელების მიერ.

3.19. ნავთობპროდუქტების ნავთობბაზაზე დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება საკონტროლო პროცედურების კომპლექსური შესრულებით დაცვის თანამშრომლებისა და ორგანიზაციის თანამდებობრივი პირების მიერ.

3.20. ხელშეკრულების ფასში შედის ყველა ხარჯი და სავალდებულო გადასახადი, ასევე ხარჯები:

- ობიექტებზე თანამშრომლების ტრანსპორტირების;
- შემსრულებლის თანამშრომელიბის სპეციალური ფორმითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფა;
- შემსრულებლის თანამშრომლების აუცილებელი სპეციალური საშუალებებითა და კავშირის საშუალებებით უზრუნველყოფა;
- თანამშრომლებიც შეცვლა აუცილებლობის შემთხვევაში;
- შემსრულებლის თანამშრომლის მხრიდან მოყენებული ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების შესრულების პროცესში გარკვეული ქმედების ან უმოქმედობის დროს;
- თანამშრომელთა სამედიცინო შემოწმება;
- შემსრულებლის თანმშრომლების სწავლება;
- კერძო დაცვის კომპანიის ადმინისტრაციული პერსონალისა და კერძო დაცვის კომპანიის სამორიგეო ნაწილის შენახვა;

4. შემსრულებლის ვალდებულებები

4.1. დაცვის მომსახურების გაწევისას გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

4.2. გააგზავნოს განგაშის სიგნალი ცენტრალიზებული დაცვის მართვის პანელზე (ე.წ. „პულტი») განგაშის ღილაკის (ე.წ. ხელის ბრელოკი) გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაცავ ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების დროს.

4.3. განახორციელოს დასაცავი ობიექტების ტერიტორიაზე კრიმინალური ვითარების მონიტორინგი.

4.4. ნივთების, სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება, რომლებიც გადაადგილდება დაცვის ობიექტებზე;

4.5. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად დასაცავი ობიექტების მიმართ.

4.6. იმ პირთა აღმოჩენა, რომლებიც დაკავებულნი არიან დანაშაულებრივი ქმედებებით დასაცავი ობიექტების ტერიტორიაზე ან სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

4.7. უცხო პირთა შესვლა შენობაში და ობიექტის ტერიტორიაზე, რომელიც დახურულია თავისუფალი გადაადგილებისგან.

4.8. ობიექტებზე არაკანონიერად შესრული პირების მოძიება და დაკავება;

4.9. ობიექტის ხემზღვანელის ინფორმირება ყველა ინციდენტის, ავარიის, უბედური შემთხვევის და სხვა გარემოებების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოების უსაფრთხოებაზე, თუნდაც ისინი არ იყოს დაკავშირებული ობიექტის დაცვის საკითხებთან.

4.10. აღმასრულებელი ორგანოს ქვედანაყოფების უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის გადაცემა, რომლებიც ახორციელებენ შინაგან საქმეთა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულირების შემუშავებას დაშვებისა და შიდა დაწესებულების რეჟიმის დარღვევებზე, იმ პირთა შესახებ, რომლებიც ატარებენ ნივთებსა და ნივთიერებებს, რომლებიც აკრძალულია ან შეზღუდულია დაცულ ობიექტებში გადაადგილებისთვის/გადატანისთვის.

4.11. თანამდებობრივი შემოწმების ჩატარება დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, და შემსრულებლისათვის გაგზავნა დაცვის თანამშრომელთა მიერ თანამდებობრივი ვალდებულების შესრულების დროს დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით. დამკვეთისათვის განხილვის შედეგებზე პასუხების გაგზავნა.

4.12. ობიექტებზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთოების ღონისძიებების მხარდაჭერა და დაცვა.

დანართი № 1

დაცვის ობიექტების ჩამონათვალი

რომლებიც შემსრულებელს აქვს გადაცემული დასაცავად, დასახელება, რაოდენობა, სამუშაო რეჟიმი და დაცვის საგუშაგოს შეიარაღება

№ п/п	დაცვის ობიექტის დასახელება და მისამართი	დაცვის საგუშაგოს დასახელება	საგუშაგოს კატეგორია და რაოდენობა	საგუშაგოზე პირთა რაოდენობა ცვლაში	საგუშაგოს სამუშაოს რეჟიმი
1	ცენტრალური ოფისი, თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია»-ს ოფისი	ოფისი	1 სტაციონარული 1 პატრული	2 24-საათიანი დაცვა	ყოველდღიურად დღეში 24 საათი
2	ნავთობბაზა. მცხეთის რაიონი, სოფ. ძეგვი	ნავთობბაზა	2 სტაციონარული	2 24-საათიანი დაცვა	ყოველდღიურად დღეში 24 საათი